საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №290/18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე

-- -- 2018 წლის 26 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 იანვრის №290/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ 2018 წლის 27 ივლისს გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რის შესახებაც შემთხვევით გაიგო სექტემბრის თვეში და მოითხოვა სააღსრულებო ფურცელი. საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე განზრახ არ აცხადებს საჯარო შეტყობინებას, რომ ძალაში არ შევიდეს გადაწყვეტილება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 23 მაისს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

2018 წლის 15 ივნისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს დაევალა მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ჩაბარება.

2018 წლის 2 ივლისს სასამართლომ მიიღო განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ.

2018 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შესაგებლის წარუდგენლობის გამო -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2018 წლის 31 ივლისს -- -- გაეგზავნა 2018 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. 2018 წლის 1 აგვისტოს არ ჩაბარდა ადრესატს გზავნილი მისამართზე არ ყოფნის გამო.

2018 წლის 5 სექტემბერს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის და გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით.

2018 წლის 21 ნოემბრის განჩინებით მოპასუხე -- -- 2018 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ეცნობა საჯარო შეტყობინების მეშვეობით.

2018 წლის 31 დეკემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 25 იანვრის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 26 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი. სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ ასევე შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Apostol v. Georgia, §54). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მართლმსაჯულების ეფექტიანად აღსრულების გამოჩენაზე ყურადღება გაამახვილა არაერთ საქმეში (Vermeulen v. Belgium, §34; Lobo Machado v. Portugal, §32) და აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, §33; Martinie v. France [GC], §39). მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

მოცემულ შემთხვევაში საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შეყვანის ვადის გაჭიანურებას.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მიერ სასამართლოში შესაგებელი არ წარდგენილა, ამდენად, არსებობდა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232[1] მუხლით განსაზღვრული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად - მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსამართლე ნიშნავს სხდომას, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს ამ კოდექსის 70-ე–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. სხდომის ჩატარების შემთხვევაში მოპასუხისაგან მტკიცებულებათა მიღება არ ხდება და სასამართლო მოისმენს მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ აკონკრეტებს სპეციალურ ვადას, თუ გზავნილის ჩაუბარებლობის შემთხვევაში რა ვადაში უნდა მიიღოს სასამართლომ საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინება, თუმცა, აღნიშნული ვადა ვერანაირად ვერ იქნება საქმის არსებითი განხილვის კანონით განსაზღვრულ ვადაზე მეტი, ვადა უნდა იყოს გონივრული და ემსახურებოდეს მართლმსაჯულების ინტერესებს. ამდენად მოსამართლეს საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინება უნდა მიეღო საქმის არსებითი განხილვისათვის განსაზღვრული ვადის ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე მხარემ სასამართლოს სარჩელით მიმართა 2018 წლის 23 მაისში, სასამართლომ 2018 წლის 27 ივლისს მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება შესაგებლის წარუდგენლობის გამო. მოპასუხეს გადაწყვეტილება გაეგზავნა 2018 წლის 31 ივლისს, ამ პერიოდის შემდეგ მოსამართლეს არანაირი საპროცესო მოქმედება არ განუხორციელებია 3 თვის და 21 დღის განმავლობაში, მხოლოდ 2018 წლის 21 ნოემბრის განჩინების საფუძველზე საჯარო შეტყობინების გზით ეცნობა მოპასუხეს.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებებში მოცემული განმარტების თანახმად (Apostol v. Georgia, §54), სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, ითვალისწინებს არა მხოლოდ გადაწყვეტილების მიღებას გონივრულ ვადაში, არამედ აგრეთვე იმას, რომ გადაწყვეტილება ეფექტურად აღსრულდეს მოგებული მხარის სასარგებლოდ. მაღალი ხარისხის გადაწყვეტილება შეიძლება სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს თუ შეუძლებელი იქნება მისი მარტივი და ეფექტური პროცედურით აღსრულება. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნეს სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობა. სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება არ იქნება ეფექტურად რეალიზებული, თუ არ მოხდა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.

შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილებაზე საჯარო შეტყობინების შესახებ განჩინების მიღების ვადა ვერ ჩაითვლება გონივრულ ვადად, რამდენადაც აღნიშნული იწვევს მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებას და ლახავს მხარის ინტერესებს

ამდენად, საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ქმედება შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასწარი შემოწმების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აფასებს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობას და წინასწარი შემოწმებისათვის ამ კანონის 75^7 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლისათვის ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ. ამდენად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 პირველი პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარში მითითებული ინფორმაციის სრულყოფილი შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე შეაფასა დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობა და 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, თოთხმეტი წევრის გადაწყვეტილებით (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით), მიიჩნია, რომ, მოსამართლე -- -- მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, რის გამოც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^8 მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნია მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყება და ახსნა-განმარტების ჩამორთმევა გადაწყვეტილებაში მითითებულ ფაქტებთან მიმართებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ამავე კანონის 75^8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ახსნა-განმარტების მიცემა წარმოადგენს მოსამართლის უფლებას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^8 მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დაიწყოს დისციპლინური დევნა და მოსამართლე -- -- ჩამოერთვას ახსნა-განმარტება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი